# აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2020 წლის სამოქმედო გეგმა

საარჩევნო ადმინისტრაციის 2019-2020 წლების სტრატეგიული გემის საფუძველზე შემუშავდა 2020 წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც ხელს უწყობს საარჩევნო ადმინისტრაციის სტრატეგიული მიზნების განხორციელებას. სამოქმედო გეგმა შედგენილია უსკოს სტრუქტურული ერთეულების ჩართულობით, განხილვებისა და დისკუსიების შედეგად, ის წარმოადგენს ერთობლივ დოკუმენტს, რომელმაც უნდა განსაზღვროს დასახული სტრატეგიული პრიორიტეტების შესრულების გზები. სამოქმედო გეგმა მოიცავს იმ ძირითად საქმიანობებს, რომლებიც უნდა განახორციელოს საარჩევნო ადმინისტრაციამ 2020 წლის განმავლობაში.

## სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი

უსკოსა და უსკოს სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების სამუშაო შეხვედრების შედეგად შემუშავდა საარჩევნო ადმინისტრაციის 2020 წლის სამოქმედო გეგმა, რომელშიც გაწერილია სტრატეგიული მიზნების მისაღწევად დაგეგმილი საქმიანობები, ვადები და ასევე მოსალოდნელი შედეგები.

## ანგარიშგება

სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმაზე მომუშავე ჯგუფი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პროექტების დასრულებიდან ერთი კვირის ვადაში უსკოს წარუდგენს ანგარიშს, განხორციელებული სამუშაოს და შედეგების შესახებ, შეაფასებენ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული და განხორციელებული სხვა მნიშვნელოვანი ხელშემწყობი საქმიანობების შესრულების პროცესს. ამასთანავე განიხილავენ საარჩევნო ადმინისტრაციის მომდევნო წლის სამოქმედო გეგმის პროექტს.

**სტრატეგიული პრიორიტეტი 1:  ინსტიტუციური გაძლიერება**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის სანდოობისა და ცნობადობის ზრდა, ადამიანური რესურსების განვითარება და მისი ეფექტიანი მართვა

| **მიზანი** | **საქმიანობა** | **ღონისძიების განხორციელების ვადა** | | | | | | | | | | | | **დაგეგმილი ღონისძიებები** |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | IX | X | XI | XII | |
| ***ინსტიტუციური განვითარება*** | უსკოს თანამშრომლების გადამზადება | | | | | | | | | | | | | • საერთაშორისო რესპუბლიკურ ინსტიტუტთან (IRI) თანამშრომლობით პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელთათვის ტრენინგის მოდულის შექმნა |
| | | | | | | | | | | | | | | • ტრენინგი „არჩევნების გაშუქება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით“ |

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | | • ტრენინგი „ეფექტიანი კომუნიკაცია“ |
| | უსკოს მატერიალურ - ტექნიკური ბაზისა და ინფრასტრუქტურის განახლება/გაუმჯობესება | | | | | | | | | | | | | • ტექნიკური ბაზის განახლება<br>• ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება |
| ***სანდოობის და ცნობადობის ზრდა*** | უსკოს რებრენდინგი | | | | | | | | | | | | | • არსებული ლოგოს ფორმისა და ფერის, სლოგანის შეცვლა უსკოს ცნობადობის გაზრდის და უკეთესი იმიჯის შექმნის მიზნით.<br><br>• ბრენდირებული ნივთების დამზადება<br><br>• უსკოს ვებ-გვერდის განახლება<br><br>• არჩევნების დღეს საარჩევნო პროცესების მიმდინარეობის შესახებ არჩევნებში ჩართული მხარეების დროული ინფორმირება. |

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | | • არჩევნების წინასწარი მონაცემების გამოქვეყნება უსკოს ვებ გვერდზე.<br><br>• არჩევნების პერიოდში საჩივრების რეესტრის ლინკის შექმნა.<br><br>• უსკოს აქცია ამომრჩეველთათვის „შენი ხმა მნიშვნელოვანია“ |
| | უსკოს საიმიჯო რეკლამის დამზადება | | | | | | | | | | | | | • წინასაარჩევნო პერიოდში უსკოს სარეკლამო რგოლის დამზადება |
| | საინფორმაციო კამპანია | | | | | | | | | | | | | • წინასაარჩევნო პერიოდში ფლაერების დაბეჭდვა და გავრცელება ამომრჩეველთა აქტივობის გაზრდის მიზნით |

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | უსკოს თანამშრომლობა ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან | | | | | | | | | | | | | • სადამკვირვებლო მისია საზღვარგარეთ.<br>• საერთაშორისო ფონდებთან თანამშრომლობა |
| | საგამომცემლო საქმიანობა | | | | | | | | | | | | | • წიგნის „არჩევნების ისტორია აჭარაში“ პრეზენტაცია |

**სტრატეგიული პრიორიტეტი 2:**
**რეგიონში საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება, ამომრჩეველთა ინფორმირება**
უსკოს საქმიანობის გამჭვირვალობა, სამოქალაქო პასუხისმგებლობის დონის ამაღლება, ამომრჩეველთა აქტივობის ზრდა
სასწავლო- საინფორმაციო პროგრამების შემუშავება/განხორციელება

| **მიზანი** | **საქმიანობა** | **ღონისძიების განხორციელების ვადა** | | | | | | | | | | | | **დაგეგმილი ღონისძიებები** |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | IX | X | XI | XII | |
| საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება | ახალგაზრდა ამომრჩევლების ინფორმირება, საგანმანათლებლო საქმიანობის წარმოება | | | | | | | | | | | | | • სასწავლო-საინფორმაციო კურსი „ჩემი პირველი არჩევნების“ განხორციელება ბათუმის კერძო და ხულოს საჯარო სკოლებში |

| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ფლაერების დამზადება | | | | | | | | | | | | • წინა საარჩევნო პერიოდში ფლაერების დაბეჭდვა და გავრცელება ამომრჩეველთა აქტივობის გაზრდის მიზნით |
| | საინფორმაციო შეხვედრა სამოქალაქო განათლების პედაგოგებთან | | | | | | | | | | | | • აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან არსებული მემორანდუმის საფუძველზე, შემუშავდება პროგრამა, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთათვის არჩევნებთან დაკავშირებული ინფორმაციის გავრცელებას. |
| | ღია კარის დღეების ორგანიზება | | | | | | | | | | | | • არჩევნების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებული ღონისძიების ჩატარება. |

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | | • თემატური შეხვედრა სტუდენტებთან, რომლებიც არიან ორგანიზაცია ა(ა)იპ „საქართველოს სამართლიანი ახალგაზრდობა“-ს წევრები. |